

*სპილენძ-პიროტინული და პირიტ-პოლიმეტალური გამადნების ფორმირების თავისებურებები  
ალაზანგალმა კახეთის ტერიტორიაზე საცხვრეხორხის მადანგამოვლინების მაგალითზე.*

*მირიან მაქაძე<sup>1,2</sup>, კარლო აქიმიძე<sup>1</sup>, გვარამ ბენიძე<sup>2</sup>*

[miriani.makadze233@40ens.tsu.edu.ge](mailto:miriani.makadze233@40ens.tsu.edu.ge) [karlo.aqimidze@tsu.ge](mailto:karlo.aqimidze@tsu.ge)

<sup>1</sup>გეოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ქ. #13, თბილისი, საქართველო

<sup>2</sup>ალ. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, მყარი სასარგებლო წიაღისეულის განყოფილება. მინდელის ქ. #11, თბილისი, საქართველო

ალაზანგალმა კახეთის ტერიტორიისადმი ინტერესი, როგორც სპილენძ-პოლიმეტალურ გამადნებაზე პერსპექტიული რეგიონი გეოლოგების ყურადღებას მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან იპყრობს. მისადმი პრაქტიკული ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც ალაზანგალმა კახეთის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე - აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ანალოგიურ გეოლოგიურ პირობებში აღმოჩენილი იქნა კაცდაგის, ფილიზჩაისა და კატეხის მსხვილი კოლჩედანური სპილენძ-პოლიმეტალური საბადოები.

რეგიონში არსებულ მრავალ მადანგამოვლინებათა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საცხვრეხორხის მადანგამოვლინება, რომელიც განლაგებულია სტორი - ლოფოთის (ალაზანგალმა) ანტიკლინორიუმის ჩრდილო ფრთაში, არშის გასწვრივი (სუბგანედური) რეგიონალური რღვევის სტორი-საცხრეხორხის განივი (სუბმერიდიონალური) ღრმული რღვევით გადაკვეთის კვანძში.

მადანგამოვლინებაზე საველე გეოლოგიური და კამერალური სამუშაოების ჩატარების შედეგად აღნიშნული ზონის ფარგლებში გამოვლენილია სპილენძ-პოლიმეტალური გამადნების 3 ქვეზონა, სიმძლავრეებით 1,2 მ-დან 7,5 მ-დე. ეს ქვეზონები წარმოდგენილია სუბპარალელური კვარც-სულფიდური მარღვებით, რომელთა სიმძლავრეები მერყეობენ ერთეული სანტიმეტრებიდან 50 სმ-დე. მადნებისათვის დამახასიათებელია მასიური, ბრექჩიული და მარღვაკულ-ჩაწინწკლული ტექსტურები. მინერალური შედგენილობის მიხედვით გამოიყოფა: პიროტინ-პოლიმეტალური, პირიტ-ქალკოპირიტული და პირიტ-პოლიმეტალური გამადნების ტიპები. მადნების აღნიშნული მინერალური ტიპები არათანაბრადაა განაწილებული მადნიანი ზონის ფარგლებში. სხვადასხვა შედგენილობის მარღვების სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მათი ფორმირების თანმიმდევრობისა და ეტაპობრივობის შესახებ. ჩატარებული სამუშაოები აგრეთვე ითვალისწინებს აღნიშნული მადანგამოვლინების შესწავლას ოქროს გამადნებაზე.